



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების პარამულისრეპელი ეროვნული კომისია

გ ა დ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №18/29

2018 წლის 9 მარტი

ქ. თბილისი

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში განსახილველ ზოგიერთ განცხადებაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (შემდგომში - კომისია) საჯარო სხდომაზე განიხილა ახალი მომხმარებლის, შპს „ნუმუს ტრედიინგის“ კუთვნილი ობიექტის მიერთების ვადის გაზრდის თაობაზე სს „თელასის“ (რეგისტრაციის №2326/01 23.02.18წ); ახალი მომხმარებლის, შპს „ნუმუს სერვისის“ კუთვნილი ობიექტის მიერთების ვადის გაზრდის თაობაზე სს „თელასის“ (რეგისტრაციის №2325/01 23.02.18წ) და ახალი მომხმარებლის, შპს „ანზორ დოლიძე და კომპანიის“ კუთვნილი ობიექტის მიერთების ვადის გაზრდის თაობაზე სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ (რეგისტრაციის №2497/01 28.02.18წ) განცხადებათა თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის ვადის განსაზღვრის საკითხი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

დასახელებულ განცხადებებთან დაკავშირებით საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისა და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოსაცემად საჭიროა განცხადებათა დასაბუთებულობის შემოწმებისათვის საჭირო დოკუმენტებისა და სხვა მტკიცებულებების შესაბამისი უწყებებიდან გამოთხოვა, გამოკვლევა და შეფასება, რაც დამატებით დროს მოითხოვს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად კანონმდებლობით გათვალისწინებულზე მეტი ვადა, ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისას გამოაქვს გადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს სამ თვეს.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის საფუძველზე, კომისიამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ახალი მომხმარებლის, შპს „ნუმუს ტრედიინგის“ კუთვნილი ობიექტის მიერთების ვადის გაზრდის თაობაზე სს „თელასის“ განცხადებასთან (რეგისტრაციის №2326/01 23.02.18წ) დაკავშირებით, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2018 წლის 23 მაისი.
2. ახალი მომხმარებლის, შპს „ნუმუს სერვისის“ კუთვნილი ობიექტის მიერთების ვადის გაზრდის თაობაზე სს „თელასის“ განცხადებასთან (რეგისტრაციის №2325/01 23.02.18წ) დაკავშირებით, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2018 წლის 23 მაისი.
3. ახალი მომხმარებლის, შპს „ანზორ დოლიძე და კომპანიის“ კუთვნილი ობიექტის მიერთების ვადის გაზრდის თაობაზე სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ განცხადებასთან (რეგისტრაციის №2497/01 28.02.18წ) დაკავშირებით ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2018 წლის 28 მაისი.
4. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ ეცნობოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი საჩივრის წარმდგენ პირებს.
5. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადების დღიდან.

6. გადაწყვეტილება „საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში განსახილველ ზოგიერთ განცხადებაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ“ ცალკე არ საჩივრდება.


ირინა მილორავა

კომისიის თავმჯდომარე



გიორგი ფანგანი

კომისიის წევრი



გოჩა შონია

კომისიის წევრი



დავით ნარმანია

კომისიის წევრი

